და სიმშვიდე ძაღვან აწუნებს ხალხს. მიწის ძვრა კადვე არის, მსოფლად სუსტი. შეშხის გზასე მრავალი უშმე-ბი მამადის ხალხთა და სხვაგვით სხვსე, ბასარი იწვის. ბეგრმა ასი ათასობით იხარადეს. ნადი ფუღარ ბეგრს დაწვას. რამდენიმე მიღობით ახარადეს მიწის ძვრამ. დაუფუნებლავ სკარდა შექმნება, რამელხან შეშხე-ლები სთხოვენ მთელ რუსეთს. დაესმარეთ ამ უბედურთ. უოგელი შექმნება, რაც უნდა ზატარა იყოს იგი, სარ-გველებთან მოუტანს და შეუხსობუქებს უბედურთ მადე-მარეობას. განუწყვეტლავ უჩნდლავს. შეშხის მადამო-ებში დასარადებულაა მიწის ძვრისაგან ოცდაცამეტი სოფელი; მოკლულებიც და დაჭრილებიც არის; ჯერ ცნობები არ არის შეკრებილი. ამბობენ, რომ სოფელ მარჯის სლო, შეშხიდან 25 ვერსის მანძილზე სმი ადგილას გამხანდა ვუღკანი, რამელვ დახსნავთ ელექ-ტრონის სკეტის მსკავსად თორმეტი ვერსის სიშორეზე. ვუღკანები ასლა ჩამჭრდა.

შურნალ-გაზეთმობიან.

20 იანვარს, საღამოს 5 1/2 საათზე მატარებელი მოსკოვის სადგურზე მოვიდა. აქ დეპუტაციას მიე-გებნენ: მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წი-ნამძღოლი თავ. პ. ნ. ტრუბეცკოი, მახრის წინა-მძღოლი და დეპუტატები. თავ. ტრუბეცკოიმ შემ-დგვის სიტყვებით მიმართა ქართველ დეპუტაციას: „მოვილოცავთ მოსკოვში მშვილობით მობრძანებას, ბატონებო, მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნა-ურთა სახელობით პატივი მაქვს გთხოვოთ და დღეს, საღამოს 8 საათზე, (რუსეთის კეთილ-შობილთა საკრებულო“ დარბაზში სადილად მობრძანდეთ. თ. მელიქიშვილმა მადლობა მიუძღვნა თავ. ტრუბეც-კოის, მახრის წინამძღოლთ და დეპუტატებს პატი-ვისკებისათვის.

სადგურიდან ქართველთა დეპუტაცია ივერთა ღვთის-შობლის თაყვანის საცემლად გაემგზავრა და 8 საათზე კი კეთილ-შობილთა“ დარბაზში მივიდნენ. მისავალ დარბაზში დეპუტაციას მიეგებნენ: თ. ტრუბეცკოი, მახრის წინამძღოლი და თავად-აზნაურთა მოსკოვის გუბერნიისა 200 კაცზე მეტი. თ. ტრუბეცკოიმ თავ. მელიქიშვილს პურ-მარბილი მიართვა და შემდეგი სიტყვები უთხრა: „მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა და აგრეთვე ჩემის სა-ხელობით მივესალმებით რუსეთის კეთილ-შობილთა

საკრებულო“ დარბაზში ძველ ივერიის თავად-აზნა-ურთა წარმომადგენელთა. თავ. მელიქიშვილმა ქარ-თველ თავად-აზნაურობის სახელობით მადლობა მიუძღვნა მოსკოვის თავად-აზნაურობას პურ-მარი-ლისა, გულ-კეთილ და ძმურის დახვედრისათვის. მასპინძლებიცა და სტუმრებიც ეკატერინეს დარ-ბაზში შევიდნენ, სალც მდიდრულად გაშლილი საუზმის სუფრა დახვდათ. აქედან მშენიერად მორ-თულს გიორგის დარბაზში გადავიდნენ და აქაც უფრო მდიდრულად გამართულ სასადილო სუფრას მოუხსნდნენ. 250 კაცისათვის იყო გაშლილი სუფ-რა; აქვე იყვნენ 11 გუბერნიის წინამძღოლი, რო-მელნიც იმ ჟამად მოსკოვში იყვნენ შეკრებილნი თავად-აზნაურთა შვილებისათვის პანსიონ-თავშესა-ფარის კურთხევისა გამო. დარბაზის ხოროები (ზე-მო ადგილები) მთლად გაქვდილი იყო ხალხით, უმეტესად მოსკოვის წარჩინებულთა მანდილოსნე-ბით; ტრუბეცკოიმ წარმოსთქვა და საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო სადღეგრძელო ხელმწიფე იმე-რატორისა, დედოფალთა, მეგვიდრისა და მოსკო-ვის გენ.-გუბ. დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძისა მეუღლითურთ. შემდეგ თავად ტრუბეცკოიმ წარმოსთქვა:

«წარსულის წლის გაზაფხულზე მთელ რუსე-თის თავად-აზნაურთა წინამძღოლებმა, მათ შორის მეც, მივიღეთ ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა სახელობით მინატყებმა საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრუ-ლებისა გამო საიუბილეო დღესასწაულზეზე დასას-წრებლად. სხვა წინამძღოლთა შორის მეც მიველი ტფილისს. მთელის რუსეთისა და კერძოდ მოსკოვის თა-ად-აზნაურთა წინაშე სრულის დარწმუნებით შე-მიძლია დავამტკიცო, რომ ქართველთა შორის ყოფ-ნის დროს საუკეთესო შთაბეჭდილება გამოვიტანე და ეს შთაბეჭდილება ქვეშარტ რუსის სულისა და გულისათვის სასიამოვნო უნდა იყოს. ვისთანაც კი რამივე დაახლოვება მქონდა, ყველანი იმის მოწადი-ნებულთა, რომ თავის სახელმწიფოსა და ჩვენის სამე-შობლოის თავად-აზნაურობისადმი წრფელი სიყვარული დაიჭიროს, ყველას სწყურია სრული ერთობა, როგორც მოქალაქეობრივისა, აგრეთვე სამხედრო ნიდადაზე. ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი განაპირა კუთხე ჩვენდამი ისეთის სიყვარულით იყოს გამსჭვალული, როგორც ქართველები არიან (ხანგრძლივი



ტაშის ცემა). ღმერთმა აღდგარძელოს, ააყვავოს ქართველი თავადაზნაურობა, მისი მომავალი და მათი წარმომადგენელი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი“

სახოგადოებამ ერთიანად იგრიალა. მემუსიკეთა დასმა დაუკრა „ბაიათი“ გ. ყორღანოვისა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ თავ. მელიქიშვილმა მოკლედ დაუბატა სახოგადოებს, რა ისტორიულ გარემოებათა შორის ტრიალებდა მრავალტანჯული მიერ, მაგრამ სულითა და რწმენით მაგარი, საქართველოს სამეფო, რომელმაც დახმარება და ხსნარუსეთის თვითმპყრობელთ სთხოვა—და თავისი სიტყვა ესე დააბოლოვა: «რუსეთის ხალხის ფიქრთა და გრძობათა გამჟღავნების—ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოსა ესვამ!“

თავ. მელიქიშვილის სიტყვა ბერჯველ იყო შეწყვეტილი აღტაცებულის სახოგადოების ქებადიდებითა. ზევითა და ქვევით მთელ დარბაზს დიდხანს ევაშა—ს ძახილი არ შეუწყვეტია.

პენზის გუბერნიის თავადაზნ. წინამძღოლმა დ. კ. გველიჩმა წარმოსთქვა: «მოსკოვის გუბერნ. თავადაზნ. წინამძღოლის თავ. ტრუბეცკოის მეცადინეობით რუსეთის ყველა გუბერნიების წინამძღოლნი მოსკოვში იკრიბებიან თავადაზნაურობის საქუროებათა გამოსაკვლეოდ და დასაქმავდილედ და რუსეთის თავადაზნაურობა დაახლოვებისათვის. დიდად პატივცემულ თავადო პეტრ-ნიკოლოზისძვე, ვისურვებთ, რომ ეს ნასკვი, თქვენგნით განასკული, წლითი-წლიობით მაიმდან შვილზე, შთამომავლობით შთამომავლობაზე გადავიდეს და უფრო მაგრად ჩაინასკვოს და არავინ არ შესძლოს მისი გამოსხნა. თავადმა ტრუბეცკოიმ კიდევ ერთხელ მოგვცა შეთხზევა, რომ ჩვენ ძვირფას სტუმარებს თავ. მელიქიშვილის სახელობით ხელახლავე გამოუცხადოთ მადლობა მძურისა და გულუხვი მიღებისათვის. მთელის რუსეთის თავადაზნაურთა სადღეგრძელო იყოს იმათი ერთობისა, ძმობისა და სიყვარულისა, სიყვარულისა და ძმობის გრძობებითაა გამსჭვალული ჩვენი გულნი და აგრეთვე გულნი ჩვენის ძვირფასის სტუმრებისა, რომელნიც შორეულ ცხელ კოლხიდიდან მოსულან და ტაბტის წინაშე უქვეშევრდამილესი ერთგულების გრძობანი მიაქეი ჩვენ საყვარელ მეფისადმი, ესვამ სადღეგრძელოს რუსეთის ყველა თავადაზნაურთა ერთობისათვის, მათის ძმურის საერთო მუშაობისათვის მეფისა და სამშობლოს სასარგებლოდა.»

თავ. მელიქიშვილმა სთქვა: „ნება მიბოძეთ იმის სადღეგრძელო დავლიო, რომელიც თითქმის ოცის წლის განმავლობაში შორეულ ჩვენს განაპირა მხარეს რუსის ხალხის სულ-გრძელობის გამოძახტევილი იყო და კეთილ-მეტყველი რუსეთის სახელმწიფოს თვითმპყრობელთა:—ღმერთმა აღდგარძელოს კავკასიის უავგუსტოს ნამესტნიკად ნამყოფი დიდი მთავარი მიხვილ ნიკოლოზის ძეა.“


გარჯე შერემტევიმა დალია სადღეგრძელო რუსეთის სახელმწიფოს ყველა ხალხების ერთობისა და მათის საერთო შრომის გაძლიერებისათვის მეფისა და სამშობლოს სადიდებლად.

მეორე დღეს მოსკოვის თავადაზნაურობამ მეჯლისი გაუმართა ქართველ დეპუტაციას; დაესწრნენ: მოსკოვის გენ.-გუბერნატორი დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ. დიდი მთავრის მეუღლემ პოლონეტი თავ. ი. გ. ამილახვართან ჩაატარა, ხოლო კლარლი—თავ. მელიქიშვილთან, ვახშიმი გიორგის და-ბაშა იყო გამართული.

22 იანვარს დეპუტაცია მიიბატეა დიდმა მთავარმა სერგი ალექსანდრეს ძემ. აქ თავ. ი. ამილახვარი და გარფი შერეჟტევი აქეთ-იქით უხსნდნენ დიდ მთავრის მეუღლეს, ხოლო თავ. მელიქიშვილი და თავ. ტრუბეცკოი—დიდ მთავარს სერგი ალექსანდრეს ძეს.

23 იანვარს თავ. მელიქიშვილი და თავ. ი. ამილახვარი საუბრებზე მიიბატეა დიდმა მთავარმა. იმ დამსვე დეპუტაცია პეტერბურგს გაემგზავრა და 24 დილით იქ მივიდა.

27 დილით მთელი დეპუტაცია პეტერბურგის თავადაზნ. წინამძღოლთან ზ. ზინოვიევთან იყო ნაშუადღევის 1 საათზე საუბრეზე. იმ დღესვე საღამოს ექვს საათზე სადილით იყვნენ მიბატეებულნი სათავადაზნაურო დარბაზში, სადაც ხელმწიფე იმპერატორის სახელობით პეტერბურგის თავადაზნაურობას სადილი გაუმართეს. იმ დამსვე რაუტი იყო დანიშნული ქართველ დეპუტაციის პატივის საცემლად, პეტერბურგის თავადაზნაურთა კრების დადგენილობით.



ახალი ამბები და შენიშვნები.

* * საქართველოს ექსპარხოსს აღექვის გულ-დასმით დაუთვალიერებია საეკლესიო მუზეუმი, დიდ-ხანს უსინჯავს ყველა საეკლესიო არქეოლოგიური და პალეოგრაფიული სიძველენი და გსმოუცხადებია სურვილი, რომ მხატვრობით გადაღებულ იქმნეს ყველა ორნამენტები და ასომთავრულები და ფოტოგრაფის შემწეობით კი პირნი ისეთ ფასილდებელ ხელთაწერებსა, როგორიც არიან მოღვისა და ალავერდის ოთხ-თავნი. ამისათვის საქირო საფასის გამოძებნა თვით მისს მალაქოვად უსამღვდელოებსა უკისრნია. შემდეგ ექსპარხოსს შემბრანებულა სიონში, სადაც დაუთვალიერებია ტაძრის ძველნი სიწმიდენი. აქ ექსპარხოსს გამოუთქვამს სურვილი, რომ მცხეთის სამთავრო ტაძარში საქართველოს პირველ ქრისტიანს მეფეს ბირიანს და გვირგვინოსანს მეუღლეს მისას დედოფალს ნანას დაედგათ ბოძებზე დაწმენილი კამარა.

ამ სურვილის განსახორციელებელ თანხისათვის ექსპარხოსსა იქვე შესწირა 100 მანეთი და ბრძანა ხელის მოწერა გაიმართოს საქირო ფულის მოსაგროვებლად. ამავე საგნისათვის შესწირეს გორის ეპისკოპოსმა კირიონმა 50 მან. და კომერციის სოფტნიკმა დ. ზ. სარაჯიშვილმა 200 მან.

* * „ცნობის ფურცელ“-ში ვკითხულობთ: «17 იანვარს საქართველოს ექსპარხოსის აღექვის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდათ საქართველოს საექსპარხოსოს მონასტრების წარმომადგენელთ იმაზე მოსალაპარაკებლად, თუ როგორ გაუმჯობესდეს მონასტრების მდგომარეობა. კრებაზე, სხვათა შორის, დაადგინეს მონასტრების საფასით დარიის მონასტრის ეზოში (ტფილისში) ააშენონ ერთი სახლი, სადაც უფასოდ ცხოვრებით სარგებლობა შეეძლოთ ყველა იმ მონასტრების ბერებსა და მსახურთ, რომელთაც ტფილისში სამსახურისა თუ რამ სხვა მიზეზით მოუხდებათ ხოლმე ჩამოსვლა». ნუ თუ ამით გაუმჯობესდება ჩვენი მონასტრების მდგომარეობა?..


* * მღვდლის თამარაშვილის თხზულების („სიტორია კათოლიკობისა საქართველოში“) გამოცემისათვის საქირო ხარჯი გაუღია ჩვენი ცნობილს ქველ-მოამქმედს ს. კ. ზუბოლაშვილს.

* * პეტერბურგში ამ დღეებში გამოვიდა 1900 წლის ანგარიში სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1901 წლის დამდეგს ბანკს ჰქონია დაგირავებული სულ 21,474 თავადაზნაურის მამული, ზომით 17,136,538 დესეტინა, დაფასებული 1,132,333,995 მან. სესხად მიუკითათ ამ მამულების პატრონებისათვის 631,428,817 მანეთი. ამ მამულთაგან არა თავადაზნაურობის ხელში გადასულა 2,753 მამული, ზომით 1,134,332 დესეტინა, შეფასებული 71,924,647 მანეთად. სესხი ამ მამულებზე ყოფილა 42,263,400 მანეთი. სულ ბანკში დაგირავებულ ყველა მამულზედ ყოფილა თავნი ვალი და შესატან-გადასახადი 648,469,100 მანეთი. რაც შეეხება ვადას გადაცილებულ გადასახადებს, მათი როდენობა 1901 წლის იანვარს ყოფილა 24,474,564 მანეთი და 24 კაპეიცია. საანგარიშო 1900 წლის განმავლობაში ბანკს შემოსავალი ჰქონია 8,869,605 მან. 94 კაპ. იმავე წლის განმავლობაში ბანკის ხარჯი ყოფილა 1.265,491 მ. და 30 კ. და წმინდა მოგება 2.604,114 მ. და 64 კ.

* * ამიერ-კავკასიის საპოლიცია საერობო დარაჯების შესანახავად და აგრეთვე მათ საქიროებათა მოსაწყობად მიმდინარე წელში გადაღებულია: ტფილისის ტუბერნისთვის—335,576 მან., განჯისა—434,230 მან., ქუთაისისა—438,712 მ., ბაქოში—324,997 მან., ერევანისა—51,025 მან., ყარსის ოლქისთვის—256,008 მან. და ზაქათალისა—54,005 მან.

* * გზათა სამინისტრომ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობას, რომ მიხაილოვო-ყვირილის შუა მეორე ლიანდაგის გაყვანის გამოკვლევა მოახდინოს. გამოკვლევა უნდა მოხდეს ამ წლის.

* * მათი მეთუება იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, 21 თებერვალს შიო-მღვიმის მონასტერში ბრძანდება მწირველი, რომელ დღესაც მონასტრის დღესასწაული არის.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საინჟინერო საქმიანობასა და კეთილ- ცნებაში.

ს ი ბ მ ვ ა.

აღდა თქვესმეტს კვირიაკეს, თქმული ქუთაისის სკოლებით ტრასში.

მოვიდა ძე კაცის მოძიებად და ცხოვრებად წარწყმელულისა. (ლუკ. 19, 10)

არა ერთ გზის გსმენიათ ჩემი უღირსობისაგან, სანატრელნო სულიერნო ძენო და ასულნო ჩემნო, მოძღვრება და დარიგება მაზედ, თუ რა ფასდაუღებელი საუნჯეა კაცისათვის სიტყვა ღვთისა, რა აღმაშროვანებელ და ცხოველ-მყოფელ ძალას შედგენს იგი აღამიანისათვის, რა უებარი და ყოვლად გამკურნავი მაღამოა იგი დიდისა და პატარასათვის, მაგრამ ეს იმდენად ვრცელი და დაუმრეტელი საგანია, რომ ათასი მოძღვრების შემდეგაც კიდევ ბევრი რამ დაგვრჩება სათქმელი, ათასი განმარტების შემდეგაც არ მოგვეპარდება ამ მაღალ საგანზედ ფიქრი და ზრუნვა, ათასი მოსაზრება—მსჯელობის შემდეგაც კვლავ სასიამოვნოდ მიიწმენეს გონებით და სულით საღი აღამიანი ღვთის სიტყვის შესახებ მოძღვრების მოსმენას. ოჰ, რა უბედური, რა საბრალოსი და საცოდავი რამ იქნებოდა ქრისტიანი, მას რომ არ ანუგეშებდეს და არ ატკობდეს ღვთის სიტყვა! რა აუტანელი და მოუწლებელი ჯოჯოხეთი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, რომ მას არ აბრწყინებდეს მზეებრი შარავანდი ღვთის სიტყვისა! რომელია აქ მყოფთაგანი, დაწყებული ჩემით, აგერ კარის ბუქში მღვამე უკანასკნელ გოხაკამდე, რომ არ კენსოლდეს და არ გმინავდეს გულის საკლავად ყოველი ხარისხის უწმინდურობისა, ყოველგვარ

დანაშაულთა და ბრალთა შიშვე ტვირთის ქვეშ? ვის არ უწყლავს გულს ჩანადენ ცოდვთა წარმოდგენა? ვის არ უმწარებს სიცოცხლეს შეგნება საკლთარი ბილწებისა? ვის არ ჰქენჯნის, არ ამხელს, არ სტანჯავს და არ სწვავს ათასგვარი ბოროტების ჩადენის გამო სვინილისი? მარტალია, ხანდისხან ვითომდა არაფერად ვიწმენეთ სვინილისის მხილვას, ვითომდა სრულებითაც არ გვაწუხებს ხოლმე შებილწვა და შეგნება ზნეობისა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი და ნაძალადეგია, როგორც კაცის მკვლელს არ შეუძლიან სამუდამოთ დაიშვილდეს გული, რადგანაც მის განუშრობლად სდევნის ლანი მოკლულისა და უფრთხობს სიმშვილეს, ისე ყოველ აღამიანს უსათუოდ აწუხებს უსამართლოების ჩადენა, უტყველია, რომ ყოველი კაცი იტანჯება ცოდვთა და საგმობელ საქმეთა ჩადენის გამო, ყოველი ქრისტიანი იწვის შინაგანი ცეცხლით, მოკლებულია მოსვენებას და აზრი დანაშაულობისა სდევნის მას ყოველ ნაბიჯზედ სულით-მხუთავი ჯალათივითა...

ძნენია ამგვარი სულის კეთება, მაგრამ მისი წამალც უებარია, იმ დროს, როდესაც მე სულით ვიტანჯები, როდესაც ვერსად და ვერაფერში ვერ მიპოვნია ნუგეში, როდესაც ცოდვთა სიმძაველის შეგნების გამო მიგსულიერ სასოწარკვეთილების ნაპირას, როდესაც მოყვასთაგან მივიწყებულს, ყველასაგან განწირულს სასიკვდილოთ გულს მიღრღნის მატლი მხილვისა, განკიცხვისა და ქენჯნისა—შემომემსის ეკლესიაში გამამხნევებელი და სულის ჩამდგმელი სიტყვები: მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმელულისა (ლუკ. 19, 10) ე. ი. ჩემი ღმერთი, ჩემი დაშაბდებელი, მაცხოვარი ჩემი იესო ქრისტე მეუბნება, რომ იგი მოვიდა ქვეყნად, მიიღო ჩემი ბუნება, ეწაბა, ჯვარს ეცვა, მოკვდა, ჩავიდა ჯოჯოხეთსა და აღსდგა იმ აზრით, რომ მომიძიოს, მიპოვნოს მე ცოდვილი. უძღვბი და უბედური, მიპოვნოს, და მაცხოვროს ანუ გამხადოს ღვთის შვილად, განმიმზადოს საყოფელი ცათა შინა, შემაერთოს იმ ნეტართა გუნდს, რომელდესაც უბრძანებს საშინელი განსჯის დღეს: კვდილით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიშკიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასამამითაგან სოფლისათ (მათ. 25, 34). ეს ხმა ნათელს ჰყენს ჩემს დაბნეულ სულს, მშვიდობით მევსება მძრწოლარე გული, ამიერიდან მწყნარდება




ჩემი აღზრდითელი სეინილისი, მეზადება შეურყეველი რწმენა და სასოება, რომ კაცთ-მოყვარება ღვთისა მუდამ ჰმძღვეს ცოდვათა ჩემთა სიმრავლეს, არ განწირავს არასოდეს მხსნელი ჩემი და ამის გამო მიმომეფანტვის, ვითარცა კვამლი, ყოველი დაჩაგრულობა, მწუხარება, ქმუნვა და სასოწარკვეთილება; მოკლედ—მეორედ ვიბადება და ვიყვები მხნობით, რადგანაც ახლა კი ქვეყნიერება მიჭინებება ჩემ საბედნიეროდ, ჩემ საცხოვრებლად ღვთისგან აწმუნებულ დიდებულ ტაძრად, ყოველგან და ყველაფერში ვხედავ ღვთის მადლით მოსილ მარჯვენას. ამისათვისაა, რომ ისე თავდადებით უყვარდათ საღმრთო წერილის მუდმივი სმენა ჩვენ წინაპარებს. ესაა მიზეზი, რომ გადაღუფლნი იყვნენ საღმრთო წიგნების შეძენაზედა. იი საინო მაგალითი ნათქვამისა. გუშინ აღასრულა ჩვენმა ეკკლესიამ საქართველოს მამის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს სხენება. ამ სულმნათის ცხოვრების აღწერაში ვკითხულობთ: „დავითმა ესოდენ შეიყვარნა და შეთვისნა საღმრთონი წერილნი, რომელ ჰსათქვამცა თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იმერის. იგინი იყვნეს მისა საზრდელ ყოველთა გემოვან, და სასმელ ტბილ და საწოდელ, შვება, განცხრომა, საწვრთელ და სარგებელ ღღე და ღამე და მიმოსვლათა შინა“. ჩვეულება ჰქონია ნეტარ მეფეს ლაშქრობაში აქლემებით და ჯორებით ტარება სლმრთო წიგნებისა და კითხვა მათი დასვენების დროს. „ხოლო შემდგომად სერობისა, ნაცვლად ძილისა ენუ სხვა რაიმე საქმისა, კვალად კითხვა წიგნთა“-ო, განაგრძობს მეფის ცხოვრების დამწერი. ვის მოაგონდება ნადირობის დროს კითხვა? ხოლო დავითს ამ შემთხვევაშიაც არ გაუშვია ხელიდამ საღმრთო წიგნი! ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელს ერთი წლის განმავლობაში ოცდამათხურო წაუკითხავს თავადმე ბოლომდე საღმრთო სამოციქულო...

რა შეიძინა, რა ბედნიერება და წარმატება მოიპოვა სხენებულმა მეფემ ღვთის სიტყვის მხურვალე სიყვარულოთ და მისი განუწყვეტელი სმენით, გაბხოვთ და გულს მოდგინეთ გავალებთ ეს თქვენ თითონ შეიტყუოთ მისი ცხოვრების შესწავლით. დავით აღმაშენებელის ცხოვრების ცოდნა სავალდებულოა და აუცილებელია იმერეთის თვითიული მკვიდრისათვის, რათა? იმით რომ, იგი ღვთისგან განსაკუთრებით ჰპატრონობ და მფარველობს იმერეთს;

მისი წმიდა გვამი ღღევანდლამედ ჰფენს შარავანდელს იმერეთის ერთადერთს დიდებას და სიკაღვალეს, იმერელთა დიდებულ სალოაკეს—გელოთის ტაძარს.

გარნა მე უღირსი გულსმოდგინედ შევთხოვე უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს მოგანიჭოთ დიდსა და პატარას, ქალსა და ვაჟს მძღვარი წყურვილი ღვთის სიტყვის სმენისა, რათა ჰსცნათ სიყვარული, რომელი აქვს ღმერთსა ჩვენდა მომართ (ა იოან. 4, 16), იტვირთოთ ურთიერთის სიმძიმე და ესრეთ აღასრულოთ სჯული იგი ქრისტესი (გალტ 6, 2), რომელიცა მოვიდა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა. ამინ.

გუბიატოვის ლეონიძე.



ს ი ტ მ ვ ა,

კვირაკუს მეზვერას და ფარასველას

არა ცილი-სწამო მოყვასა შენსა წამებითა ცრუთათა (9 მც.).

ცილისწამებას ცოდვათა შორის ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს. ეს ისეთივე მძიმე ცოდვაა, ისეთივე მომაკდინებელია, როგორც არის მავ. კაცის კვლა, ქურდობა და სხვა. კაცის მკვლელი მხოლოდ ჩვენ ხეულს უსპობს სიცოცხლეს, სული კი უვნებლად რება, ქურდი მოგვარავს ნივთს რასმეს, შენ მაინც უვნებლად დატოვებს, და ვინც კი ცილის-სწამებელის გესლის მსხვერპლად გახდება, უსათუოდ უნდა მოიშხამოს. ყოველნაირ ცუდი მიმართულების კაცმა, ხანდისხან მაინც არის, იცის მოყვასის შებრალება, ცილისმწამებელი კი მუდმივ უღმობელია. დავით წინასწარმეტყველი ცილისმწამებელს აღაქვს გველს და ამბობს: „აღიღესენ ენა მათი ვითარცა გველისა და გესლი ასპიტთა ბაგეთა მათთა (ფს. 139, 3). ჩვენ შეგვიძლია კიდევ მეტი ვსთქვათ. გველს და ყოველივე მხეცს—ნადირს კაცი როგორმე მოერიდება, ეცდება თავი დაიცვას, შეიარაღებული დახედეს, მაგრამ რაც შეეხება ცილის-



შეამებელ კაცს, მას ვერას გზით ვერ მოერიდება; ყოველწიარ ხერხს, ღონეს ხმარობს ცილისმწამებელი, რომ თავისი მსხვერპლი მოინელოს. თუ რაიმე ღირსებას ხედავს თავის აძულებულ პირში, ეცდება როგორმე დაამციროს, არც კი მოიხსენოს სხვების წინაშე, არავის არ შეამჩნევიათ, არ დაანახავოს, ცუდღე მხარე მისი კი, ათასწიარად გააზვიადოს. თავის მიზნის მისახვევად ცილისმწამებელი საშუალებად უმეტეს ნაწილად პირმოთნებას ხმარობს. იმწიარად გეწვენება, იმწიარად დავიანლოვდება, ვითომც შენი პირველი მეგობარი და მძა კაცი იყოს და როდესაც შენ მას ერთგულად ხედავ და გულს გაღუშლი, მაშინ ცდილობს ყოველწიარი შენი გულის პასუხი ვაიგოს, მესაიდუმლედ ვახდეს და მერე კი შემთხვევის დროს ისარგებლოს. როცა შენთან არის სხვას აძაგებს, კიცხავს, მაგრამ იცოდღე შენზედაც ცუდს იტყვის, როცა დასკირდება, როცა შენი ძაგებით სხვისი გული უნდა მოიგოს. მთავრობასთან რომ შეხედვს, აძაგებს იმ პირს, რომელიც მთავრობასთან არის შენიწული რაშიმე, სხვა დროს საზოგადოებაში დაუწყებს კიტხვას მთავრობას რომელიმე განკარგულებისათვის იმავე პირის შესახებ. ხომ ვერასოდღეს ვერ მოისვენებს ცილისმწამებელი კაცი! იგი ცდილობს ყველგან ყოველ საზოგადოებაში, ყოველ ოჯახში მსვლელობა იქონიოს. ყველას მეგობრად ეწვენება და მასთანვე ყველგან თავის გესლიანი, შხამიანი ენით ვისმეს უნდა უკბინოს. რამოდენი მეგობრები, რამოდენი ცოლ-ქმარნი გამზდარან ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად ცილისმწამებელის მეოხებით! ამბობს გამოჩენილი სწავლული გოლუბევი*) თუ ასე მანებელია ცილის წამება, რისთვის არ ცდილობენ მის მოსპობას? განა დანაშაული არ არის ამ შემთხვევაში საზოგადოება? საზოგადოება ხელს არ უწყობს ამ დამლუპველი სენის გავრცელებას? სადღე ქრისტეს მცნებას: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ ფეხი გაუდგამს, იქ ცილისწამებას ადგილი არასოდღეს არ ექნება. რომელიმე სწეულება მაშინ გავრცელდება ხალხში, სოფლად თუ ქალაქად, როდესაც მას შესაფერი ნიადაგი ხედება, როდესაც კაცის სხეული მომზადებულია მის შესათვი-

სებლად, ესევე ითქმის ცილისწამების შესახებაც. ჩვენ დროს ცილისმწამებელთა რიცხვი თან და თან მატულობს. რისთვის? მისთვის, რომ გავლენა მოაპოვეს, მათ სიტყვას იჯერებენ. ჩვენ როცა შევხვდებით ერთმანეთს, — რა იცი ახალი ამბავიო, ჩვენი პირველი საკითხი ეს არის და თითქმის ყოველთვის ვისიმე ვაკიტხვა არის. იმწიარად შევეწვიეთ ერთმანეთის ზურგს უკან ვაკიტხვას, რომ როგორც პური უმარილოდ უგემურად გვეწვენება, ისე ჩვენი მუსაიდო, მასლაათი, თუ ვინმე არ გავეჭირდეთ. ამ ჩვენი სისუსტით სარგებლობენ ცილისმწამებელნი. ისინი ჩვენივე შემწეობით ადვილად ასწევენ მიზანს. ნამეტურ ხელს უწყობენ მათ სუსტი ჭკუის კაცები, რომლებიც ადვილად დაიჯერებენ ხოლმე ყოველივე ნათქვამს და მზად არიან გავრცელონ იგი. ცილისმწამებელს ესმის ეს და სარგებლობს კიდევაც ამით. როცა უნდა მას გავრცელოს ვისმეზე ცუდი ხმა ბევრი ჯაფა არ სკირდება. მხოლოდ ადვილად დამჯერებელ პირთან იტყვის რასმეს ცუდს ვისზედაც უნდა და მეორე დღეს ყოველ ოჯახში იცან: ერთი ოჯახიდან მეორეში ადვილად გადადის და მსწრაფლად ეფინება, ვრცელდება. მერე როგორ? ისე კი არა: როგორც თვითონ ცილისმწამებელმა გამოსიტქვა. არა ერთი კვირის შემდეგ მის ვერც კი იცნობს თავის გამოთქმულს აზრს, ისეთიანვე გადაკეთებენ. ყოველი გამგონი როცა სხვას ეტყვის, უსათუოდ თავის მხრივ რამე უნდა მფუხატოს. ვინც ცილისმწამებელის მსხვერპლად ხდება, რა უნდა უთხრათ მას სანუგეშებლად? იმან უნდა იცოდღეს, დაჯერებული იყოს, რომ ბოლოს დროს, უსათუოდ გაიმარჯვებს, თუ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდება და მოთმინებას იქონიებს. საზოგადოებაში. რაც უნდა პატარა იყოს იგი, ყოველთვის მოაპოვება ორი-სამი მართლ-მსაჯული, კეთილ-სინდისიერი კაცი, რომლებიც სმირთელს დიანახვენ და ეცდებიან იგი შებლაღული, შემწეიკული ისევე განასხეტაკონ. ისინი მხარს დაუჭერენ ცილ-დაწამებულს, ეცდებიან საზოგადოებას აუხსნან საქმის გარემოება, ყოველივე მისი კარგი მხარე თვალსაჩინოდ დაანახონ ყველას და ცუდი ხმები გააქარწყლონ. ეს უნდა გახსოვდეს ყოველთვის, რომ შენ ცილისმწამებელს სამაგიერო არ გადაუხადა და მით უაღსრულო მცნება მაცხოვრისა:

*) იხ. Труды Киев. Дух. Ак. 1886 г. № 5.

„გაცივარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა და კეთილს უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულოცვედით მათ, რომელნი გამძაფრობდენ თქვენ და გღვენიდენ თქვენ“ (მათ. 5, 44) თვით იესო ქრისტემ, რომელმაც «უსჯულოება არა ჰქნა, არცა იპოვებოდა ზაკვა პირსა შინა მისსა», როგორი ცილი დასწამეს მტრებმა, აფითონ კი სამაგიეროდ როგორ ლოცვილობდა მათთვის? „უფალო აპატივე მათ, არა იციან, რასა იქმონან“. აი მისი პასუხი. ისიც არ უნდა დავივიწყოთ და ყოველთვის მხედველობაში ვიჭონიოთ, რომ ბოროტი კაცი თავის თავს უფრო ბევრს ავინებს ვინემ სხვას. ვინც კეთილია, ის თავის თავისათვისაც კეთილია და სხვისათვისაც, ვინც ბოროტია, უფრო თავისთავისათვის არის მიუწყებელი. უკეთუ ბრძენ იყო, თავისა შენისა ბრძენ იყო და მოყვასთაცა შენტა, ხოლო უკეთუ ბოროტი იყო, აღმოივსო მხოლოდმან ბოროტი, ამბობს სოლომონ ბრძენი (იგ. 14, 12).

წინამძღვარი ქვაშ. წმ. გიორგის ეკლესიას მარჯვ ტუმუაძე.

რედაქციის პასუხი.

სსრ. მგალ—ს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.
 მდ. პას. ღუმ—ძეს. ბევრი გვეყარგება ჩვენც, მაგრამ რა გავწყობა!
 ასისთავს მას. ბაქ—ძეს. ორი ნომერი ერთად შეერთდა და ამისათვის დაგვიანდა მათი დაბეჭდვა. ეხლა უკვე მიღებული ექნებათ. გამაღობთ თანაგრძნობისათვის.
 მამა ანდ. გეგუჭ—ს. თქვენ იწყებოდით, სამ მანეთს ფულს ვგზავნიო, მაგრამ წერილში ფული არ ყოფილა. შემდეგ მომწერეთ, ფული გზაში შეჩერებულიყო-

ვო. არა გვეგრა, რომ ფოსტად ფული ექვსი თვე გზაში შეაჩეროს. აქ სხვა რამ ოსტატობა უნდა იყოს...

მდ. პესაიონ ქურდაძეს. ჩვენს დაბეჭდულ ადრესებში, თქვენი სახელი და გვარი არსადა სჩანს. ვისგან იღებდით თქვენ ჟურნალს? ჟურნალი არ გამოგვგზავნებთ, თუ ფულები არ წარმოადგინებთ.

მდ. რ. შეგრეაძეს. რედაქციის ფოსტით გაცნობთ, რომ მოვეკითხათ ქუთაისში—ჩვენს სტამბაში. მე შეგონა, რომ წოდებული იყო ეს წიგნები, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც იქვე ყოფილა. ვეცდები როგორმე გამოგვგზავნოთ.

ბლად. მდ. ებ. წ—ძეს. ძლიერ მივიკრის, რომ ჩვენი გამოცემული წიგნების ფასს კითხულობთ. ნუ თუ არსაოდეს არ წავიკითხავთ ჟურნალში განცხადება წიგნების ფასზე.

მდ. ალექ. ჯაფარიძეს. პრემია უნდა მოიკითხოთ თქვენ ბლალჩინთან, რომელსაც მე გავგზავნე. გახეთი ყოველთვის გგზავნებთ წყალობა იარაღის სახეობა და ის უნდა გიგზავნიდეს თქვენ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიბარატურო განმყოფილება: საოცარი დაუდევრობა. დეკ დ. ღამბაშიძისა. — იმერეთის ეპარქიის სამღვდელმეტო: კრება ქუთაისში 1 — ნ დეკემბერს 1901 წ. — დეკანოზის მიხედვით მუხარბაის იუბილი. დამწერისა. — ვინ იყვნენ „პაპები“ ანუ „პაპები“? მდ. ი. მარგინისა. — შემახში მომხდარი უბედურება. — ჟურნალ გახეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლად და მშენიარება ძრისტიანობის სარწმუნოებასა და ამითლ-წამოგზაზე: სიტყვა ოც და-თექვსმეტსა კვირიაკესა, თქული ქუთაისის საკრებულო აქარში ყ-ღ სამღვ. იმერეთის ეპისკოპოსის ლენინდის მიერ. — სიტყვა კვირიაკესა მეზვერისა და ფარისევლისა. თქული მდ. მარჯვ ტუმუაძის მიერ. — რედაქციის პასუხი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. რ. ღამბაშიძე. Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисе, 15 февраля 1902 г. ♦ Цензурь прот. Е. Елиев

Типог. редакції журн. „Пастыр“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.